"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_____ ს. ტეფნაძე
08 _____ 2019
დადგენილება № 08/05

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება

ძირითადი #1

1 სარჩევი

1 სარჩევი 2

i. ცვლილებები 3

ii. ცვლილებების ისტორია 4

iii. მოქმედი გვერდების სია 5

2 დოკუმენტაციის კონტროლი 6

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6

3 ძირითადი ნაწილი 7

მუხლი 1. მიზანი 7

მუხლი 2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პროცედურა 7

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ივლისი 2019					
1	2	0	ივლისი 2019					
i	3	0	ივლისი 2019					
ii	4	0	ივლისი 2019					
iii	5	0	ივლისი 2019					
2	6	0	ივლისი 2019					
3	7	0	ივლისი 2019					
3	8	0	ივლისი 2019					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ფაკულტეტები	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. მიზანი

1. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება როგორც პროაქტიული, დამხმარე პროცესი, რომლის მიზანია, რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების იდენტიფიკაცია და მოქნილი, პრაქტიკული და მიღწევადი სტრატეგიების განხორციელება, სტუდენტთა მიერ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისა და სასწავლო მიზნების მიღწევის მიზნით.
2. პროცედურა ვრცელდება საავიაციო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და სტუდენტზე (პროფესიული სტუდენტების ჩათვლით).
3. დოკუმენტის მიზანია:
   3.1. იმ სტუდენტების დროული იდენტიფიცირება, რომლებიც ვერ აღწევენ დამაკმაყოფილებელ აკადემიურ შედეგებს; და
   3.2. რისკის ჯგუფში მყოფი სტუდენტებისთვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენის ღონისძიებების აღწერა.

მუხლი 2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პროცედურა

1. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი ახორციელებს სტუდენტების ინდივიდუალური აკადემიური მოსწრების მონიტორინგს.
2. სტუდენტების აკადემიური მოსწრება ფასდება ცოდნის შეფასების სისტემის მეშვეობით. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს:
   2.1. ყოველდღიურ გამოკითხვას;
   2.2. გამოცდებს.
3. საფრენოსნო ფაკულტეტი, აღნიშნულის გარდა, აფასებს სტუდენტების ინდივიდუალურ აკადემიურ დატვირთვას Aviation Exam-ის სისტემაში სტუდენტების აქტივობაზე დაკვირვების გზით.
4. კონკრეტული საგნის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები ასახულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში. სტუდენტების ცოდნა ფასდება ქულათა სისტემით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ დადგენილი წესებით. თითოეული სტუდენტის შემაფასებელი ქულა ფიქსირდება მონაცემთა ბაზაში (ელექტრონულ ჟურნალში).
5. სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას პერიოდულად (სემესტრულად) აფასებს შემფასებელთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი.
6. შემფასებელთა ჯგუფი ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტთა ინდივიდუალურ შეფასებას, მონაცემთა ბაზიდან სტუდენტის მიერ ყველა სასწავლო საგანში მიღებული შეფასებების ანგარიშების გენერირებით.
7. სტუდენტების შეფასების შედეგად ხდება მათი კატეგორიზაცია:
   7.1. 1-ლი კატეგორია: სტუდენტები, რომლებიც არ საჭიროებენ მეთვალყურეობას;
      7.1.1. 1-ელ კატეგორიას მიეკუთვნებიან სტუდენტები რომელთაც არ აქვთ აკადემიური დავალიანება ან ჩაბარებული აქვთ აღებული კრედიტებიდან 50%-ზე მეტი.
   7.2. მე-2 კატეგორია: დამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები;
      7.2.1. მე-2 კატეგორიას მიეკუთვნებიან სტუდენტები რომლებმაც აღებული კრედიტებიდან ვერ ჩააბარეს 50% ზე მეტი.

7.3. მე-3 კატეგორია: სტუდენტები, რომლებიც საჭიროებენ მეთვალყურეობას;

7.3.1. მე-3 კატეგორიას მიეკუთვნებიან სტუდენტები, რომლებმაც ორჯერ ზედიზედ ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი შეფასება საგანში.

7.4. მე-4 კატეგორია: არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.

7.4.1. მინიჭებული ჰქონდათ მე-3 კატეგორია, მაგრამ დინამიკამ აჩვენა, რომ არ/ვერ გაიარეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არ/ვერ გააუმჯობესეს დასწრებისა და ინდივიდუალური აკადემიური დატვირთვის მაჩვენებელი.

8. ფაკულტეტი სტუდენტს წერილობით ატყობინებს შეფასების შედეგებს და მინიჭებულ კატეგორიას. მე-3 კატეგორიის მინიჭების შემთხვევაში, ფაკულტეტი სტუდენტს მოსთხოვს დადგენილ ვადაში შემფასებელთა ჯგუფთან შეხვედრას. შეტყობინება სტუდენტს ეგზავნება ელექტრონული ფოსტით. სტუდენტი შემფასებელთა ჯგუფთან ერთად განიხილავს აკადემიური მოსწრების შემაფერხებელ გარემოებებს, რის შემდეგაც ჯგუფი შეიმუშავებს მის საჭიროებაზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ან განიხილავს და შეითანხმებს თავად სტუდენტის მიერ შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

თუ სტუდენტი დროულად არ მოახდენს რეაგირებას შეტყობინებაზე, აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული იქნება სტუდენტის კატეგორიის შემდგომი განხილვისას.

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს:

9.1. ინდივიდუალური სწავლებას წინასაწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით;

9.2. სასწავლო პროგრამის განმეორებით გავლას (ჯგუფთან ერთად) სხვა სემესტრში;

9.3. პირადი აკადემიური მენტორის დანიშვნას;

9.4. კურსის დატვირთვის შემცირებას;

9.5. ჩამოთვლილი მეთოდების კომბინირებას საჭიროებისამებრ და სხვა.

10. საჭიროებისა და თავსებადობის შემთხვევაში, შესაძლოა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ისარგებლოს რამდენიმე სტუდენტმა.

11. მე-4 კატეგორიის სტუდენტებზე შემფასებელი ჯგუფი იმსჯელებს ინდივიდუალურად სტატუსის შეწყვეტაზე.